**გაზეთი ღირს**

| თვე | მან. | კ. | თვე | მან. | კ. |
|---|---|---|---|---|---|
| 12 . . | 10 | — | 6 . . | 6 | — |
| 11 . . | 9 | 50 | 5 . . | 5 | 50 |
| 10 . . | 8 | 75 | 4 . . | 4 | 75 |
| 9 . . | 8 | — | 3 . . | 3 | 50 |
| 8 . . | 7 | 25 | 2 . . | 2 | 75 |
| 7 . . | 6 | 50 | 1 . . | 1 | 50 |

ცალკე ნომერი—ერთი შაური.

# ივერია

გაზეთის დასაკვეთად და კერძო განცხადებათა დასაბეჭდად უნდა მიჰმართონ: თვითონ რედაქციას, ახალ-ბებუთოვის ქუჩაზედ, სახლი № 9, ზ. ჭიჭინაძის სავაჭრო, გოლოვინის პროსპექტი, ცენტრალურსა და გრიქუროვის წიგნების მაღაზიებს.

ფასი განცხადებისა: ჩვეულებრივი სტრიქონი რვა კაპ.

1877—1887 წელიწადი — საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი — 1877—1887 წელიწადი


## გაზეთი „ივერია“ პირველის ივლისიდამ წლის დამლევამდე ღირს 6 მან.

**შინაარსი:** ტფილისი, 30 ივნისი.—ახალი ამბავი.—უცხოეთი.—გასართობი.—დეპეშა.—საკალენდარო ცნობანი.—საჭირო ცნობანი და განცხადებანი.

**ფელეტონი:** ელენეს დღიური (ნათარგმნი მოთხრობა), ორ-ანისა.

ტფილისი, 30 ივნისი

საქართველოს წარსულსა და ისტორიას თუ თვალს გარდავავლებთ, ადვილად დავრწმუნდებით, რომ მაშინდელი სახელმწიფო წეს-წყობილება სამხედრო და მაშასადამე საარისტოკრატო თვისებისა უნდა ყოფილიყო. წარმომადგენელი ამ გვარის წეს-წყობილებისა იყო თავად-აზნაურობა, რომელსაც ჭირსა და ლხინში, ომისა და მშვიდობიანობის დროს, ესე იგი ყოველთვის და ყოველგან უპირატესობა ჰქონდა. მუდმივმა, განუწყვეტელმა ბრძოლამ მძვინვარე მტრებთან დაჰბადა ძლიერი მხედრობა, ბეჯითი და მტკიცე ბრძოლაში, და არისტოკრატიული წეს-წყობილება, რომლის წარმომადგენელნი თან დიდს სამსახურს უწევდნენ ხალხსა და ქვეყანასა მძლავრ მტერთა მოგერებით და თანაც იძულებულნი იყვნენ ეცხოვრნათ სხვისის ოფლით და შრომით. ამ გვარი მდგომარეობა, უეჭველია, ჩვენის მაღალ წოდების წარმომადგენელთ თან-და-თან აჩვევდა უსაქმობას მშვიდობიანობის დროს და ცუდ-მედიდობას და ამასთანავე სხვის ქონების, შრომის და პატივის დაუზოგველობას. ეხლა წარმოიდგინეთ რამდენიმე თაობა, აღზრდილი ამ გვარ გარემოებათა შორის, და თქვენ ადვილად დამეთანხმებით, რომ იგი თვისებანი ჩვეულებრივ თვისებად უნდა გარდაქმნილიყვნენ, გარდმოცემისა, მემკვიდრეობის ძალით კიდევ უფრო უნდა გაძლიერებულიყვნენ, და ამ ნაირად იმ წოდებას, რომლის ხელთაც იყო ქვეყნის ბედ-იღბალი, ძვალსა და რბილში უნდა გასჯდომოდა მავნებელი სენი.

დაგვიდგა თუ არა ჟამი მშვიდობიანობისა, იმ სენმა კიდევ უფრო გაიშალა ფრთა და ფესვები გაიდგა, რადგანაც ჩვენს მაღალს წოდებას, სხვა-და-სხვა უპირატესობით აღჭურვილს, სხვა არაფერი არ დარჩენოდა გარდა იმისა, რომ სხვის შრომაზე დაემყარებინა თვისი კეთილ-დღეობა. იგი წოდება ბრძოლაში და ბრძოლის ველზე აღზრდილი, ვალდებული იყო, თავის მდგომარეობის ძალით, მშვიდობიანობის დროს შესაფერი სამსახური გაეწია ხალხისათვის, მაგრამ იგი ამ გვარ სამსახურისათვის სრულიად მოუმზადებელი აღმოჩნდა: ხელში ხმალი გაუუქმდა და მის მაგიერ-კი არღარა შეჰრჩა. ის უფლებანი და უპირატესობანი, რომლებიც ისტორიამ მიანიჭა, დღეს მან ჯეროვანად ვერ გამოიყენა და იძულებული შეიქმნა იგინი მოეხმარა არა საერთო საკეთილდღეოდ, არამედ საკუთარის ბედნიერებისათვის. და აი, წლიდგან წლამდე, თაობიდგან თაობამდე მას უნდა ეცხოვრნა უშრომელად, უდარდელად მხოლოდ საკუთარის ინტერესებისათვის. ის, რაიცა უწინ მხოლოდ დრო გამოშვებითს საქმეს შეადგენდა მისთვის, დღეს-კი ყოველ დღიურ საქმედ შეექმნა.

ეხლა, მკითხველო, წარმოიდგინეთ ისეთი ოჯახობა, რომლის წევრნი მხოლოდ არარაობას სჩადიან, რომელიც შეჩვეულია მზა-მზარეულზე ცხოვრებასა და თქვენ უნდა აღიაროთ, რომ ამ გვარის ოჯახობის წევრნი აუცილებლად უნდა გარდაეჩვიონ შრომასა, მეცადინეობასა და ბეჯითობასა და ამათ მაგიერ უნდა შეეჩვიონ უსაქმურს ცხოვრებასა. წარმოიდგინეთ ბავშვი, რომელიც ამ გვარ ოჯახობაში იზრდება: იგი ვერ ჰხედავს ვერავითარს მაგალითს შრომისას, გარჯისას, ვერ შეიყვარებს ცდასა და ბეჯითობასა, იმასაც ძვალ-რბილში გაუჯდება სურვილი უქმის ცხოვრებისა. გაჭირვების დღეც რომ დადგეს, მაშინაც გაუძნელდება შრომას ხელი მოჰკიდოს და ოფლითა თვისითა მოიპოვოს პური თვისი. რადგანაც იმისათვის შრომა სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო საძნელოა და ზოგჯერ შეუძლებელიცაა, იგი იძულებულია ეძიოს იმ გვარი საშუალება ცხოვრებისა, რომელსაც არავითარი კავშირი არა აქვს შრომასთან. თუ ვინიცობაა, ამ გვარს წევრს საზოგადოებისას ნივთიერი რამ სახსარი არგუნა ბედმა „საზრდელად, საწუწნელად“, მაშინ მხოლოდ ერთი-ღა საქმე დარჩენია: ეს საქმე სრული უსაქმობაა, მაგრამ რადგანაც სრული უსაქმობა ყოვლად შეუძლებელია და ადამიანის ბუნება თხოულობს მოძრაობასა და რაიმე საქმესა, ამიტომაც ის ჩვენი თანამოძმე იწყებს დროს გატარებას, ლხინსა და მამა-პაპეულის ფლანგვასა, რაიცა ძალიან ადვილი საქმეა და ბევრის ოფლის დაღვრაც არ უნდა.

როგორ უნდა მოქმედობდეს საზოგადოებაზე ისეთის წევრის მოვლა და პატრონობა, რომელსაც თვით საზოგადოებისათვის არაფერი კეთილი და სასარგებლო არა გამოუვა-რა, რომელიც მას არაფერს არ შესძენს და თითონ-კი უხვად სარგებლობს სხვისის ოფლითა და შრომითა და ერთხელ მინიჭებულ უპირატესობითა? ცხადია, რომ ამ გვარი წევრი ხორცმეტი, მეტი ბარგია ქვეყნისა და ერისათვის: იგი არამც თუ არაფერს არ აძლევს საზოგადოებასა, არამედ, პირ-იქით, ართმევს და აოხრებს. ამ გვარის ქცევითა იგი ჰჭურვნის და სჩაგრავს საზოგადოებასა, და რაც უფრო მომეტებულია ამ გვარ წევრთა რაოდენობა საზოგადოებაში, მით უფრო შეფერხებულია მისი წარმატება: საზოგადოება წინ-წინ-კი არ მიდის, არამედ უკან-უკან იხევა. რაც უფრო ბევრნი არიან ამისთანანი, მით უფრო ბევრი ხელ-გამომავალი კაცი აკლდება საზოგადოებასა, რომლის მოთხოვნილებანი თან-და-თან ჰმატულობენ. ამ გზით თვითონ საზოგადოება საკუთარს ძალ-ღონეს ჰკარგავს უვარგის წევრთა მოსავლელად და გასაძღოლად. რადგანაც ჩვენ კარგად ბლომად გვყავს ამ ჯურის თანამოძმენი და იგი სენი დრონის ჩვენს ცხოვრებასა, ამიტომაც უნდა ვსცადოთ სამერმისოდ, ისეთი გარემოებანი დავამკვიდროთ, რომ იმათი რაოდენობა შეძლებისა-და გვარად შევამციროთ, და ის წევრნი, რომლებიც უგზო-უკვლოდ დაფართფაშებენ, გვალში ჩავაყენოთ და ცხოვრების მოედანზე რომელიმე ადგილი მივანიჭოთ.

ა. ნა—ლი

## ახალი ამბავი

*** სატახტო ქალაქების გაზეთებში ვკითხულობთ, რომ კავკასიაში ამ ზაფხულს მოდის გამოჩენილი ექიმი ბ-ნი ბერტენსონი. ამან უნდა გასინჯოს ჩვენებური სამადნო წყლები, მათი მოწყობილობა და გამონახოს ჯეროვანი ღონის-ძიება მათ გამოსამჯობინებლად.

*** „Новое Время“-ს სიტყვით, მრავალ სხვა საბუთებთა შორის, რომელნიც ამტკიცებენ, რომ ათონის მონასტერი ეკუთვნოდათ ქართველებსაო, ეხლა წარუდგენიათ გუჯარი მეფის ერეკლე მეორისა. გუჯარი დაწერილია 1791 წელსა და სწერია შიგა, რომ მეფე ერეკლე მეორეც თავის მხრით ეთანხმება იმ საჩუქარსა, რომელიც მეფე თეიმურაზს უწყალობნია ივერიის მონასტრისათვის. ეს საჩუქარი შესდგებაო, ამბობს გუჯარი, იმ მამულებიდამ, რომელნიც ეკუთვნოდნენ წმინდა სტეფანეს ეკკლესიას სიღნაღში. ამ გუჯარს ძრიელ დიდი მნიშვნელობა აქვს ეხლანდელს ქართველთა და ბერძენთ შორის ატეხილ დავაში. გუჯრის გადათარგმნა მია-

## ფელეტონი

### ელენეს დღიური

(მოთხრობა ერნიკო კასტელნუოვოსი)

ვენეცია, ორშაბათი, 31 მაისი 1886 წ.

ეს ალბომი ისე დაბერდა, რომ შიგ ერთი სიტყვა არ ჩაწერილა. ამ ათის წლის წინად მაჩუქა ჩემმა განსვენებულმა დედამ. მაშინ პირველად წავიკითხე ფლოგაცცეროს თხზულება მირანდო და ვინატრე, ნეტავი მეც ალბომი მქონდეს, რომ შიგ ჩავწერო ყოველ-დღე ჩემი ფიქრები მირანდოსავითა-მეთქი. ვინატრე, მაგრამ ნატვრა ნატვრადვე დარჩა: აგერ დღევანდლამდე ერთი სიტყვა არ ჩამიწერია ამ ალბომში... ჩემზედ შეუძლიან ყველამა სთქვას, რომ ჟინიანი, თავქარიანიაო, მაგრამ ამასთან გულ-ღია და გულ-წრფელი ხასიათი მაქვს. როცა კარგად დავფიქრდი, სასაცილოდ მეჩვენა, რომ კაცმა როგორ უნდა ჩასწეროს ალბომში ყველა ის სისულელე, რაც შეიძლება აზრად მოუვიდეს-მეთქი, მით უმეტესს, რომ ჩვეულებრივი ცხოვრება ახალგაზდა ქალისა მშვიდი და წყნარია, მას არაფრის დარდი და ფიქრი არ აწუხებს და ძნელად თუ ისეთი რამ აზრი, ან ფიქრი მოუვიდეს თავში, რომ მისი დახსომება და საშვილი-შვილოდ გარდაცემა ღირდეს რამე-მეთქი... და აი ათი წელიწადი ჩემი სიცოცხლე მიმდინარეობდა წყნარად, მშვიდად—არაფრის დარდი, არაფრის წუხილი... ბოლოს და ბოლოს ნაღველმა დაჰკოდა გული; ისინი, რომელნიც მიყვარდნენ, განქრენ სამუდამოდ, სამუდამოდ დამტოვეს.. ოჰ, დიდი, დიდი ცოდვა იქმნებოდა, რომ ამ ხანებში კალამი ხელში ამელო და რაც თავში გამივლიდა, მეწერა გულდინჯად!..

ან იქნება კარგი ყოფილიყო, რომ რომელისამე უსაქმო და ჭიმია კაცის ამბავი ამეწერა, ან დავბრუნებოდი წარსულს და გამეხსენებინა, თუ ბედნიერების დროს როგორ მეარშიყებოდა და თავს მევლებოდა ესა-და-ეს და უბედურობაში რომ ჩავარდი-კი, როგორ ამარიდა პირი და გზა ამიქცია. საშინლადა მძულს უსარგებლო და გამოუყენებელი საჩივარი და წუწუნი. შემეძლო,—როგორც სხვები სჩადიან,—მითქმა-მოთქმა დამეწყო ჩემს მახლობელზე, ან, როგორც ჩემი მეგობარი ქალი დალ-ორნო იქცევა, რომელიც ვიჩენცეშია გათხოვილი, ჟურნალებიდგან მოდის სხვა-და-სხვა სურათები ამომეჭრა და ამ ალბომში ჩამეკერებინა... მაგრამ არა, ათი წელიწადია მოდისათვის ყური არ მიგდია.

დღეს პირველად ამოვიღე ჩემი ალბომი უჯრიდგან, გავწმინდე, გავასუფთავე, გადავშალე, და აი ვზივარ სტოლთანა და ჩემი კალამი მიწრიპინებს თეთრს ქაღალდზედ. თუმცა დამჯდარის და მაგარის ხასიათისა არა ვარ, მაინც სიტყვა ჩამოვართვი ჩემს თავს, რომ რამდენისამე კვირის განმავლობაში ყოველ დღე თითო-თითო საათი უნდა მოვანდომო ამ დღიურსა-მეთქი.

საქმე იმაში გახლავსთ, რომ ჩემს ცხოვრებას ერთი დიდად საყურადღებო ხანა დაუდგა და ამიტომ მინდა, ყველა ამ დროს შესახები აზრი და ფიქრი სამუდამოდ დავიცვა მოსაგონებლად. შეიძლება სამუდამოდ დავტოვო ჩემი სამშობლო და წავიდე შორს, შორს, რამდენისამე ათასის ვერსტის სიშორეზე, იმ ქვეყანაში, რომელ ქვეყნის ენაც არ ვიცი, სადაც ჩემი ნაცნობები და მეგობრები დამივიწყებენ და სადაც რამდენისამე კვირის შემდეგ ერთი ხმაც-კი არ მოაწვდენს ჩემს ყურებამდე ჩემის საყვარელ ვენეციიდგან... ეს სიკვდილი არ არის, მაგრამ ჰგავს-კი სიკვდილსა.

თუ გინდა სანაძლეოს დავდებ, რომ ყველა, ვინც ამ სტრიქონებს წაიკითხავს, ასე იფიქრებს: „ააა, ეს ქალი ქმარს ირთავს სადმე სამზღვარ-გარედ და ამიტომ მოჰყოლია წუწუნსა ყველა ახალგაზდა ქალისამებრო.“

არა, ქმარს არ ვირთამ. მშვენიერი არა ვარ, არც მახინჯი, მაგრამ მაინც ოც-და-ხუთის წლის ქალი ვარ და ჯერ ჩემი საბედო არ დაბადებულა. ჯერ-ჯერობით ტფილისში ვაპირებ წასვლას ძმასთან, რომელიც იქა სცხოვრობს. მას შემდეგ რაც დავობლდი, ერთად-ერთი ჩემი მომვლელი და პატრონი ბიძა იყო; ბიძაჩემიც გარდაიცვალა და იძულებულ ვიყავ ძმისათვის წერილი მიმეწერა, რომ მარტო ვარ, უპატრონო და ჩქარა ისეთს დღეში ჩავარდები, რომ ბინაც-კი აღარსად მექნება-მეთქი. მე თავი უნდა დამემდაბლებინა ჩემის ძმის წინაშე. ოდოარდო ჩემი ძმაა, მაგრამ აღარც-კი მახსოვს, თუ რა სახისაა; სულ ერთი სამიოდე ჯერ მიგვიწერია ერთმანერთისათვის წერილი... რა მნიშვნელობა აქვს სიტყვებს—„ძმა“, „და“, როდესაც ეს და-ძმანი ერთად არ აღზრდილან, ერთმანერთისათვის არ გაუზიარებიათ გულის-პასუხი, დარდი, ნაღველი, სიხარული, ბედნიერება?

მაშ რა ვქნა, სხვა რა გზა მაქვს ხსნისა? მე აზნაურად ვარ აღზრდილი და ასე უეცრივ ვერ შევიძლებ ჩემის თავის პატრონობასა და შენახვას. უ მეცარი და უსწავლელი არა ვარ, მაგრამ არც იმდენი ვიცი, რომ შევიძლო მასწავლებლობა ან იტალიანურისა და ფრანგულის ენისა, ან მუსიკისა და ან ხატვისა. იქნება დროებით ჩემის თავის პატრონობა მეცე შევიძლო კიდეც, ვინ იცის. ამბობენ, ოდოარდოს დიდ-ძალი ქონება აქვს შეძენილიო და ამიტომაც ვსთხოვე, რომ ცოტაოდე ფული მიგზავნე ხოლმე

ნდეს ბერძნის არხიმანდრიტს პანარეტს, რომელიც განაგებს ივერიის მონასტრის მამულებთა საქმეებს საქართველოში. თურმე როდესაც ეს გუჯარი და მისი ბერძნული თარგმანი წარუდგინეს რწმუნებულს ათონის ქართველთა ძმათა, სქიმონახს მ. ბენედიქტეს, რომელიც ამ დღეებში ჩასულა პეტერბურგს, იმას განუცხადებია ეჭვი, სწორედ არ არის გადათარგმნილიო და ამიტომ ეხლა თურმე ხელ-მეორედ მიუნდვიათ გადათარგმნა იმ პირებისათვის, ვინც ქართულს ენაში დახელოვნებულნი არიან.

*** ივნისის 27-ს, შუადღისას, მოვიდა ტფილისში კავკასიის მთავარ-მართებელი თავადი დონდუკოვ-კორსაკოვი.

*** სურამიდამ გვატყობინებენ, რომ 28 ივნისს იქ დაუმარხავთ ცხრა წლის ვაჟი ნონო არუნოვისა; ყმაწვილი გარდაცვლილა ცოფის გამო. საქმე ასე ყოფილა: მაისის თთვეში ყმაწვილისათვის ძაღლს ეკბინა, მშობლებს ვერ შეეტყოთ, რომ ცოფიანი ყოფილიყო ძაღლი, და არაფერი ზომა არ მიეღოთ. შემდეგ, როგორც ორმოცი დღე შესრულებულიყო, ყმაწვილს მოჰრეოდა ცოფი. მოეყვანათ ექიმი, მაგრამ გვიან-ღა ყოფილიყო, და ვერაფერი შემწეობა ველარ მიეცა ექიმსა.

*** ხაშურიდამა გვწერენ, რომ 28 ივნისს იქ გაუვლია ტეხნიკურ ინსპექციის კომიტეტის უფროსს ბ-ნს შერვარს, რომელსაც მინდობილი აქვს გასინჯოს ამიერ-კავკასიის რკინი-გზა და შენობები. სამწუხაროდ, ბ-ნმა შერვარმა თურმე იქ არაფერი არა გასინჯა-რა. იმედია, გამოვლაზე დაათვალიერებს. ურიგო არ იქმნებოდა, რომ მიექცია განსაკუთრებული ყურადღება ხაშურში რკინი-გზის შენობებისათვის, გაესინჯა, თუ რა სიმართლით არის განაწილებული ეს შენობები გზის მოსამსახურეთა შორის. ზოგიერთ შენობაში არა თუ ადამიანს, პირუტყვსაც არ ედგომება და ზოგს-კი იმისთანაპირს უჭირავს საუკეთესო შენობა, რომელსაც არ ეკუთვნის, და სხვანი.

*** ბათუმიდამ გვატყობინებენ, რომ სოფ. შუა-ხევში, 11 ივნისს, ველი-ოღლის და ყარა-აბდი-ოღლის მოუვიდათ ერთმანერთში ჩხუბი. ველი-ოღლმა ესროლა დამბაჩა და ყარა-აბდი-ოღლიმ თოფი. ველი-ოღლი იქვე დედა-მიწაზე დაეცა და სული დალია. ხოლო ყარა-აბდი-ოღლი-კი დაჭრილია ძალიან მძიმედ. ეს ჩხუბი წარმოსდგა უწინდელის საქმეებიდამ ამათ ანგარიშები ჰქონიათ ერთმანერთში მამულის თაობაზედა, ერთმანერთს დაჰმუქრებიან და უთქვამთ — საცა კი შეეხვდებით, პასუხი გავცეთ ერთმანერთს თოფითაო.

*** იქიდამვე იწერებიან: 16 ივნისს დილა ადრიანად ახმედ-აღა მომავლებულა სოფ. ჭვანიდამა თავის სახლში. ნახევარი გზა რომ გამოუვლია, უცებ ორი თოფი გავარდნილა შუატყიდამ და ორივე ტყვია მოჰხვედრია, მაგრამ არც ერთი დაჭრილი ადგილი სასიკვდილო არ გამომდგარა. ეხლა ჭრილობა კიდეც ურჩება დაზარალებულსა. ახმედ-აღა ამ საქმის ჩამდენელებად ასახელებს სული-ბეგის შვილებსა, სოფ. ახალ-დაბის მცხოვრებლებს, რადგანაც სული-ბეგის შვილები ახმედ-აღას აბრალებდნენ თავიანთ მამის მოკვლასა და ახლა უწინდელ ჩვეულების მიმდევრობით გადუხადეს სამაგიეროეო.

*** გაზ. „ნოვოე ობოზ." სწერენ პეტერბურგიდამ, რომ მთავრობამ აღკრძალა ნავთის ქარხნების აშენება როგორც შიგ ბათუმსა, აგრეთვე მის ახლო-მახლო ადგილებშიო.

# უცხოეთი

**ინგლისი.** ინგლისში ირლანდიის შემავიწროებელი კანონ-პროექტი თან-და-თან მომეტებულს ყურადღებას იქცევს და უფრო და უფრო აღელვებს ხალხს. თითქმის დღე არ გაივლის ისე, რომ სხვა-და-სხვა ადგილებში ხალხმა თავის კრებებზე არ განაცხადოს უკმაყოფილება და წინააღმდეგობა იმ კანონ-პროექტის შესახებ. ერთს კრებაზე როსელს უთქვამს, რომ „ირლანდიის მდგომარეობა შეადგენს ერთად ერთს შავს ღრუბელს დედოფლის იუბილეიზე. ეს ადვილად ასახსნელია, რადგანაც ვიქტორიას მეფობის განმავლობაში მმართებლობას არა გაუკეთებია-რა ირლანდიის უფოფა-ცხოვრების გაკარგებისათვის, მმართებლობას ირლანდიაში არც ერთი იმ ზომათაგანი არ უხმარია, რომლებიც სხვა ქვეყნებში სასარგებლოდ გამოიყენა."

დუბლინში, ხალხი ორად გაიყო: ერთი ნაწილი იმღეროდა სახალხო ჰიმნს, ხოლო მეორე ნაწილი-კი პასუხად გალობდა სიმღერას, რომელიც იწყება შემდეგის სიტყვებით: „ღმერთმა დაიფაროს ირლანდია". პოლიციას ძლივს-ძლივობით შეუჩერებინა ორივე მხარე ხალხისა.

როგორც გაზეთი „Jrish-Times"-ი იწერება: სამხრეთს ირლანდიაში აარსებენ მალულ, საიდუმლო საზოგადოებათა, რომლებსაც საგნად აქვს შეუძლებელ ჰყონ ახალის კანონ-პროექტის შემოღება ირლანდიაში.

გაზეთი „Nord"-ი ერთს თავის წერილში ძალიან ემუქრება ინგლისს. წერილი ამბობს: თუ ვინიცობაა, ინგლისმა დაამტკიცებინა სულთანს ეგვიპტის კონვენცია, მაშინ რუსეთი იძულებული იქმნება არა მარტო სიტყვიერი წინააღმდეგობა გაუწიოს ინგლისს, არამედ საქმითაცაო.

**გერმანია.** როგორც ვიცით, გერმანიამ მრავალი შევიწროება და უბედურება მიაყენა ზოგიერთა სახელმწიფოთა ქვეშევრდომებს, რომლებიც გერმანიაში ცხოვრებდნენ. გერმანიამ თავის სამზღვრებიდგან განდევნა ათასობით რუსეთის ქვეშევრდომნი; სამაგიეროდ, რუსეთმაც იმავე ზომით უპასუხა გერმანიასა და ახალის კანონის ძალით აღუკრძალა გერმანიის ქვეშევრდომთ რუსეთში ცხოვრება, სახელდობრ, გერმანიასთან მოსამზღვრე გუბერნიებში. ამ გარემოებამ დიდი აყალმაყალი გამოიწვია თვით გერმანიაში, რომელიც ძალიან ეწინააღმდეგება რუსეთის კანონს გერმანიელთა შესახებ.

გერმანიას ვითარცა ნამეტნავად თავგასულს სახელმწიფოს დავიწყებია, რომ სხვა სახელმწიფოთაც ნება და საშუალება აქვთ გერმანიას სამაგიერო გადაუხადონ, როცა იგი პატივს არა სცემს სხვა სახელმწიფოსა და მის ინტერესებს სჩაგრავს. რასაკვირველია, გერმანიას სრულიად არ მოსწონს, როცა მას წინააღმდეგობას გაუწევს ხოლმე რომელიმე მისგანვე გაუპატიურებული სახელმწიფო. ამას წინად, როგორც მკითხველმაც უწყის, გერმანიის საიმპერიო სამსჯავრომ ციხეში დამწყვდევა მიუსაჯა საფრანგეთის ქვეშევრდომს, რომელიც ითვლებოდა საფრანგეთის მამულის-მოყვარეთა საზოგადოების წევრად. საფრანგეთმაც, რასაკვირველია, იწყინა გერმანიის ქცევა მის ქვეშევრდომის მიმართ, და განიზრახა სამაგიერო, ე. ი. იმ ნაირადვე უნდა მოეპყრას გერმანიელთ, რომლებიც საფრანგეთის წინააღმდეგ რასმე ჩაიდენენ, ან განიზრახავენ. გერმანიაში ბევრი საზოგადოებაა, რომლებსაც საგნად აქვთ გერმანიელთ პატრიოტიზმი განაძლიერონ და საფრანგეთის წინააღმდეგ იმოქმედონ. ამ გვარ საზოგადოებათა და იმათ წევრთა ასალაგმავად დეპუტატმა დრეიფუსმა შეიტანა საფრანგეთის პალატაში ახალი კანონ-პროექტი, რომლის ძალითაც ყოველი უცხოელი, რომელიც ხსენებულ საზოგადოებათა წევრია და მოქმედობს საფრანგეთის წინააღმდეგ, უნდა დაისაჯოს ციხეში დამწყვდევით ორის წლის ვადით. გერმანია ძალიან აუწიწმატებია ამ გარემოებას და ჰკვირობს იმასა, რომ საფრანგეთმა მის წინააღმდეგ იხმარა ის საშუალება, რომელიც თვითონ გერმანიამ შემოიღო. გერმანიას უკვირს, რომ ისეთი დაწინაურებული ქვეყანა, როგორიც საფრანგეთია, ხმარობს ისეთს საშუალებას, რომელიც მხოლოდ ბარბაროსს შეჰფერის და დალოცვილს ის-კი დავიწყებია, რომ იმ გვარისავე საშუალებით თვითონ ებრძვის საფრანგეთსა.

როგორც იწერებიან, გერმანიის იმპერატორის ავადმყოფობა თან-და-თან ძლიერდება. ამას წინად იწერებოდნენ, რომ იმპერატორი უკეთ არისო, მაგრამ ჯანმა კიდევ უმტყუნა მოხუცს ავადმყოფს. იმპერატორს თითქმის სრულიად დაჰკარგვია მადა და ძალ-ღონე თან-და-თან აკლდება. ხალხსა და საზოგადოებაზე მძიმე ზედ-მოქმედება იქონია იმ გარემოებამ, რომ იმპერატორი, თუმცა აპირობდა, ვერ წავიდა ემსს მეტის-მეტას სისუსტის გამოვო.

**ოსმალეთი.** გაზეთს „Politische Correspondenz"-ს სწერენ სტამბოლიდგან, რომ რუსეთის ელჩმა ნელიდოვმა ითხოვა დროებით დათხოვნა სამსახურიდგან. ნელიდოვს განზრახვა აქვს ევროპაში იმოგზაუროს. ელჩის თანამდებობას ნელიდოვის დაბრუნებამდე იკისრებს საელჩოში მოსამსახურე ონუ.

**ბოლგარია.** სანამ ბოლგარიის საერო კრება შესდგებოდა და მთავარს აირჩევდა, ვენიდგან სწერდნენ გაზეთს „Standard"-ს, ვითომ სულთანს ეთხოვოს დიდ სახელმწიფოთათვის, დასთანხმებულიყვნენ კობურგის პრინცის მთავრად არჩევაზე, და ვითომც რუსეთს გამოეცხადებინოს, რომ იგი წინააღმდეგობას არ გაუწევს კობურგის პრინცის კანდიდატობას, თუ რომ შეწყნარებული იქმნება რუსეთის ზოგიერთი წინადადებაო. რაც შეეხება კობურგის პრინცს, ვენაში იმასა ჰფიქრობენ, ვითომც პრინცი რუსეთის დაუთანხმებლადაც იკისრებს მთავრობასაო. ამის შესახებ, ამბობს კორრესპონდენტი, უნდა მოვიხსენიო, რომ ჯერ კიდევ შარშან, დეკემბერში, როცა ხმა გავარდა კობურგის პრინცის მთავრად მიწვევის გამო ბოლგარიაში, პრინცმა მითხრა შემდეგი სიტყვები: „მე ჯერ კერაფერს ვერ ვიტყვი და ვერაფერს პირობას ვერ დავდებ იმ დრომდე, სანამ რუსეთისაგან თანხმობას არ მივიღებ. მე ვერ დავივიწყებ იმასა, რომ რუსეთმა ბოლგარიისათვის შესწირა ასი-ათასი კაცი, აურებელი ფული და თვისის სისხლით განათავისუფლა ბოლგარიაო."

# გაზეთობა

**ჩინეთის ოფიციალური გაზეთი.** უველაზედ ძველი და დიდის ხნის გაზეთი ჩინეთში არის „კინგ-პაუ", რომელიც 911 წლიდგან დაარსებულია. ადრე ეს გაზეთი უვადოდ გამოდიოდა, 1361 წლიდგან კვირაში ერთხელ გამოდიოდა, 1804 წ. ყოველ-დღიურ გაზეთად გადაკეთდა და ეხლა-კი დღეში სამჯერ გამოდის. დილის ნომერი იბეჭდება ყვითელს ქაღალდზედ და ვაჭრობას ადევნებს თვალ-ყურს; უმეტესად ვაჭრები იწერენ ამ გაზეთს და სულ 8,000 ეგზემპლიარი იბეჭდება; შუადღისას მეორე ნომერი გამოდის, რომელშიაც ოფიციალური და სხვა-და-სხვა ამბები იბეჭდება; დასასრულ, საღამოს ნომერი, რომელიც წითელს ქაღალდზე იბეჭდება. შიგ მეთაური წერილებია მოთავსებული და პირველის ორის გამოცემიდგან აღებული უფრო საინტერესო წერილები. ამ გაზეთს რედაქტორობს ექვსი წე-

---

თთვე-და-თთვე, ვიდრე დავბინავდებოდე სადმე-მეთქი. ამაზედ ჩემმა ძამიამ გულ-არხეინად მიპასუხა, რომ თუ გინდა, ჩემთან ჩამოდი და აქ იცხოვრეო. ჩემს ძმასთან მშვიდობიანად, დაუყვედრებლივ ვიცხოვრებ, მკვიდრი ბინა მექნება; სამაგიეროდ, მეც იმის ოჯახს მოუვლი, თვალ-ყურს ვადევნებ და ბიჭების ანაბრობაზე არ დავაგდებ.

ოდოარდო მწერდა, რომ კარგად მოიფიქრე და მოისაზრე ჩემი წინადადება და თუ ჭკუაში დაგიჯდეს, დეპეშით შემატყობინე შენი პასუხიო. მე ფულს გამოგიგზავნი და წამოხვალ ჩემთანაო. მგზავრობა საძნელო არ იქმნება შენთვისაო. გემით უნდა ეიარო სტამბოლამდე; სტამბოლში ოდოარდო დამხვდება, რომელიც სავაჭრო საქმეებისათვის აპირებს იქ წასვლას, და ივლისის ნახევრამდე იქ დავრჩებით. სტამბოლიდამ ორივენი ერთად სხვა გემით წავალთ ოდესაში; იქაც რამდენსამე ხანს დარჩება ოდოარდო. ოდესიდგან ერთადვე წავალთ ბათუმში და ბათუმიდგან ტფილისს. დეპეშა ერთის კვირით ადრე უნდა მივწერო, რადგან 30 მაისს ოდოარდო სტამბოლში აპირებს წასვლას.

უნდა გატეხილი ვსთქვა, რომ ოდოარდოს წერილმა საშინლად დამაფიქრა. დავეთანხმო ძმასა და ჰო მივწერო — დიდი გაბედვაა: შეიძლება ხასიათით ვერ მოვეურიგდეთ ერთმანერთს, ან იქაური ჰავამ არ მარგოს, სამშობლოს მოშორება ვერ ავიტანო... და, მეორე მხრივ, არ წავიდე და როგორ ავუხვიო ერთად-ერთს გზას შველისას და ხსნისას; მაშინ ხომ კარ-და-კარ სიარული მომიხდება, უარესიც: სხვაზედ უნდა ვიყვე დამოკიდებული; სადილად მიმიწვევენ, საჩუქრებს მომცემენ ისე, თითქოს წყალობას მაწვდიანო... მაშინ ხომ ხელ-მეორედ ძმასსავე უნდა მივმართო, ბოდიში მოვითხოვო, ვეხვეწო, რომ შემიბრალოს... არა, არა, მე ეს არ მინდოდა... ამასთან ისიც უნდა დავუმატო, რომ ჩვენს ქალაქში ხოლერა იყო, ყველანი იხიზნებოდნენ და ამიტომ ერთს გაკვეთილს ვერ იშოვნიდა კაცი.

ყოყმანს და ბევრს აზრა-ზომვას თავი დავანებე და დეპეშა გავუგზავნე ოდოარდოს ვადაზედ ადრე. ეხლა ფულებს მოველი.

ამ საქმეზედ არავისათვის არ მიკითხავს რჩევა. უბრალო საქმეზე კიდევ შეიძლება კაცი დეეკითხოს ვისმე, ხოლო საჭირო და სამძიმო საქმეზედ-კი ღმერთმა დაგიფაროთ... სულ ერთიანად გადაგრევენ: ყველას თავისი აზრი აქვს ერთს რომელსამე საგანზედ, თავისი შეხედულობა...

გავგზავნე თუ არა დეპეშა, გამოუცხადე სინიორა ჩელესტას, ჩემს სახლის-პატრონს, რომ შეიძლება ჩქარა გავემგზავრო კავკასიისაკენ, ტფილისში-მეთქი. თითქო მეხი დაეცაო, ისე გაუკვირდა ეს ამბავი. სინიორა ჩელესტას გეოგრაფიისა არა გაეგება-რა და პირველად ესმოდა ჩემგან კავკასიისა და ტფილისის სახელი.

— უწმინდაესო ღვთის-მშობელო! რა ადგილია აგრეთი?

— შორს, შორს არის ეს ადგილი.

— ვერონზედ შორსა?

ვერონს იქით აღარსადა ყოფილიყო სინიორა ჩელესტა; ვერონში ბიძას ქალი ჰყვანდა გათხოვილი.

— ვერონზედ კიდევ ძალიან შორს-მეთქი, — ვუპასუხე მე სიცილით: — ეს ადგილი ევროპაში-კი არა, აზიაში მდებარეობს.

სინიორი ჩელესტამ, რომელსაც ქვეყნის ნაწილებისა არა გაეგებოდა-რა, გაკვირვებით გაასავსავა ხელები.

— აზიაში... მაშ მილანს იქით არის?

— შორს, კიდევ შორს, — ვუპასუხე მე.

საშინელმა აზრმა გაურბინა თავში.

— უფალო შემიწყალე... ოსმალებთან აპირებთ წასვლას?

— დიახ, ოსმალებიც არიან იქა, ხოლო ის ქალაქი ქართველებისაა და ეხლა რუსებს უჭირავთ. ქართველებიცა და რუსებიც ქრისტიანები არიან.

— და მერე აგრე ადვილად გადასწყვიტეთ ეგ საქმე, — დაიწყო კვლავ ჩელესტამ: — თითქო არაფერი იყოსრაო?

— რა გაეწყობოდა, საყვარელო სინიორა ჩელესტა!..

რასაკვირველია, მხოლოდ გარეგნად ვიყავი დამშვიდებული; როცა ჩემს ოთახში დავბრუნდი, მაშინვე ქვეშაგებზე პირ-ქვე დავემხე და მდუღარება გადმოვაბნიე... ოჰ, ჩემ მიერ გაგზავნილის დეპეშის უკანვე დაბრუნება რომ შეიძლებოდეს, აქ დარჩომა... მაგრამ ეხლა გვიანღაა, გვიანღა.

ყველაზედ მეტად გულს მითუთქავს სამშობლოს მოშორება. რაღაცა მემართება. ის ქალაქი, სადაც დავიბადე, გავიზარდე, რომლის ქუჩებიც, მგონი, სულ მოვლილი მქონდა, — იქნება, ყველა ქვისათვისაც-კი ფეხი მომეხვედრებინა, — ამ ქალაქმა ჩემს თვალში რაღაც მომხიბლველი და მიმზიდველი სახე მიიღო. ისე არ გამოვდგამ შინიდგან ფეხსა, რომ რამემ არ გამაკვირვოს: როგორ, ნუ თუ აქამდე არა ვხედავდი ამ მშვენიერს ადგილ-მდებარეობას, ამ საუცხოვო ბუნებასა? საყვარელო, ჩემო საყვარელო ვენეციავ!.. ისე მიყვარს ვენეცია, რომ მისი ნანგრევები, ვიწრო ქუჩები და უსუფთაო პატარა არხებიც-კი მომწონს. საკვირველი კიდევ ის არის, რომ როცა ქუჩაში გავდივარ და ბევრს უცნობ ხალხს შევხვდები ხოლმე, რომელთ სახელიც-კი არ ვიცი, ასე მგონია სიბრალულით მიყურებენ და პირი რომ იმათკენ მივილო, დამელაპარაკებიან და მეტყვიან: „ნურსად წახვალ, აქ დარჩი, უცხოებში ვერ გასძლებო"...

ოცნებაა, ოცნება და სხვა არაფერი. მაგრამ კარგად ვიცი, რომ რო-

გრი აკადემიისა, რომელთაც ჰჯამაგირი მთავრობისაგანა აქვსთ დანიშნული. სამივე გამოცემა სულ 14,000 ეგზემპლიარამდე ისყიდება თურმე.

**

**ხმალში გასვლა გაზეთის რედაქტორებისა.** ამას წინად პარიჟში ხმლით უბრძოლიათ ბ-ნს ბერტლე გრევილს, რედაქტორს გაზ. „Reveil de Matin“-ისას, და ბ-ნს როხს, რედაქტორს გაზ. „Courrier Français“-სას. ბრძოლის მიზეზი პოლემიკა ყოფილა ამ ორ გაზეთთა შორის. გრევილს ბრძოლაში როხი მაგრად დაუჭრია მარჯვენა მკერდში და დაჭრილის სიცოცხლე განსაცდელშია თურმე.

**

**მოხერხებული მეაფთიაქე.** ფილადელფიაში ერთი მოხერხებული აფთიაქის პატრონი ყოფილა. რა-კი უნახავს, საქმე ცუდად მიდის და აფთიაქს ვაჭრობა არა აქვსო, გამოუკრავს დიდი განცხადება, რომელშიაც წერებულა, რომ აფთიაქიდამ ყველა უცოლოებსა და უქმროებს, სარწმუნოებისა, წოდებისა და წლოვანების გაურჩევლად, წამალი ავადმყოფობის დროს სხვაზედ 10% ნაკლებ დაეთმობათო. ამ განცხადებამ გასჭრა თურმე და აფთიაქში დაუწყვიათ სიარული ცოლიანებსაც, თუმცა ამასთან გამოუცხადებიათ, რომ უცოლოები ვართ, რა არის წამალი იაფად დაგვითმონო. აფთიაქის პატრონსაც, რასაკვირველია, ყური მოუყრუებია ამ გარემოებისათვის და ისე უჩვენებია თავი, ვითომც მჯერაო. ამის შემდეგ აფთიაქს დიდ-ძალი ვაჭრობა გასჩენია. სხვა გაჭრებსაც მიუბაძავთ ამ მაგალითისათვის და ამ ჟამად ქ. ფილადელფიის ყოველ კუთხეში გამოკრულია თურმე სხვა-და-სხვა განცხადებანი, რომელშიაც იაფობასა ჰპირდებიან ცოლიანებს, მოხუცებულებს, მახინჯებს და სხვათა.

---

# დეპეშა

27 ივნისი

**ოდესსა.** დღეს სერბიის დედოფალი შვილითურთ სერბიაში გაემგზავრა.

**ტირნოვო.** როგორც ნათქვამი იყო, გუშინ ბოლგარიის სამინისტრომ სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა შეიტანა. დღეს სამინისტროს მაგალითისამებრ ასეთივე თხოვნა წარადგინა სარეგენტო მთავრობამ დიდის საერო კრების წინაშე და სთხოვა ამას გარდა კრებას: გადასწყვიტეთ, თუ რომლის გადადგომა უფრო შესაძლებელია, სამინისტროსი თუ სარეგენტო მთავრობისაო. როგორც ეტყობოდათ, დეპუტატების სურვილი ის იყო, რომ არ შეეწყნარებინათ არც ერთის თხოვნა და მოერიგებინათ როგორმე ერთმანერთში სამინისტრო და სარეგენტო მთავრობა.

**სტამბოლი.** ვულკოვიჩმა დღეს დიდს ვეზირს გასდაცა ნოტა, რომელშიაც აცხადებდა: ბოლგარიის მთავრად პრინცი კობურგისა იქმნა ამორჩეული, პრინცი კობურგიც დათანხმდა და შუამდგომელობდა, რომ ოსმალეთმაც გამოაცხადოს თავის თანხმობა პრინცის არჩევანზეო.

**ბერლინი.** გერმანიიდგან ცხენების გაყვანა ნება-დართულ იქმნა.

**ლონდონი.** საზოგადოებათა პალატამ ირლანდიაში ძალ-მომრეობითის კანონების შემოღების პროექტი დაამტკიცა.

28 ივნისი

**პეტერბურგი.** ივლისის ნახევრისათვის ორი ექსპედიცია მზადდება: ერთმა უნდა გამოიკვლიოს, თუ როგორ გაიყვანონ რკინის გზა ტომსკიდგან ირკუტსკამდე, და მეორემ უნდა გამოიძიოს, თუ როგორ უფრო სასარგებლო იქნება, რომ რკინის გზის შტო გაიმართოს ვლადივოსტოკიდამ ხანკის ტბამდე.

„Journal de St.-Pétersbourg“-ი იხსენიებს რა პრინცის კობურგის ბოლგარიის მთავრად ამორჩევას, ამბობს მხოლოდ, რომ რუსეთი არასოდეს კანონიერად არა სთვლიდა თვით დიდს საერო კრებას, რომელსაც პრინცი კობურგისა ბოლგარიის მთავრად ამოურჩევიაო.

**სტამბოლი.** დრუმონდ ვოლფს ბრძანება მოუვიდა, რომ კიდევ რამდენსამე ხანს დარჩი სტამბოლში და ჯერ-ჯერობით არ წამოხვიდეო მანდეიდგანაო.

**ლონდონი.** გუშინ საღამოს ალდერშოტადტში დედოფლის იქ დასწრებით ჯარების აღლუმი იყო, რომელშიაც 58,000 კაცმა მიიღო მონაწილეობა. აღლუმის შემდეგ დედოფალმა მადლობა გადაუხადა ჯარს სამსახურისათვის და სთქვა, რომ იმედია ჩემის მეფობის უკანასკნელს წლეებში ინგლისის ერი მშვიდობიანობის სიკეთით დასტკბებაო.

**პარიჟი.** გენერალი ბულანჟე ახალს თანამდებობაზე დაინიშნა კლერმონში. პარიჟის ახალგაზდობა დიდის ამბითა და პატივით დაუხვდა რკინის გზის სადგურზე ბულანჟეს კლერმონში წასვლის დროს. იმდენი ხალხი შეიკრიბა რკინის გზის სადგურზე, რომ მატარებლის გასვლა სადგურიდგან ორის საათით დააგვიანეს და ამის გამო გენერალი ვაგონიდგან გამოვიდა, ლოკომოტივზე დაჯდა და მარტო ლოკომოტივი გავიდა სადგურიდგან უვაგონებოდ.

**ტირნოვო.** დიდმა საერო კრებამ გუშინ დეპუტაცია ამოირჩია, რომელმაც პრინცს კობურგისას უნდა მიართვას ბოლგარიის მთავრად ამორჩევის განაჩენი. ამავე დეპუტაციას მინდობილი აქვს სთხოვოს პრინცს, რომ ჩქარა მობრძანდით ბოლგარიაშიო.

სარეგენტო მთავრობამ შეიწყნარა სამინისტროს სამსახურიდგან გადადგომის თხოვნა და სტოილოვს მიანდო ახალის კაბინეთის შედგენა. თვით სარეგენტო მთავრობის თხოვნა-კი სამსახურიდგან გადადგომის თაობაზედ უარ-ჰყო დიდმა საერო კრებამ და სთხოვა ამ მთავრობას, რომ პრინცის კობურგის ბოლგარიაში მოსვლამდე მოითმინეთო.

29 ივნისი

**პეტერბურგი.** ვაჭრობის დეპარტამენტმა აცნობა სახაზინო პალატებს ცირკულიარით, რომ ყველა საბანკირო საქმეები და აგრეთვე ყიდვა და გაყიდვა სარგებლიანის ქაღალდებისა ბირჟაზე არ შეიძლება აწარმოვოს ვინმე, თუ პირველ გილდის მოწმობა არა აქვს აღებული.

**ვერნი.** გენერალი ზუროვი მოვიდა. ნელი მიწის-ძვრა ჯერ კიდევ არ შეწყვეტილა. დღე და ღამეში ორჯელ-სამჯერ იძვრება ხოლმე მიწა.

**ტირნოვო.** სამინისტროს გადადგომა შეწყნარებულ იქმნა საბოლოოდ. ახალის სამინისტროს შედგენა მიანდეს რეგენტებმა არა მარტო სტოილოვს, არამედ ნაჩევიჩსაც, მაგრამ ამ უკანასკნელმა უარი გამოაცხადა და ის აზრი გამოსთქვა, რომ ეგ საქმე უნდა მიენდოთ ლიბერალთა ანუ რადიკალთა დასის ერთ-ერთის წევრისათვის და იმას უნდა შეედგინა შერევნილი სამინისტროვო.

**კლერმანი.** გენერალი ბულანჟე დიდის ალტაცებით მიიღეს. მერი მიესალამა გენერალს, რომელმაც პასუხად უთხრა, რომ მე ფრანგი ვარ და რესპუბლიკელიო; ჩემი სიცოცხლე მჭიდროდ დავუკავშირე ჯარის ინტერესებსა და ჩემის სამშობლოს განდიდების საქმესაო. მოქალაქეთა დეპუტაციას ბულანჟემ უთხრა: ვიდრე მინისტრი ვიყავ, პოლიტიკას მივდევდიო; მაგრამ ახლა მხოლოდ მხედარი ვარ და ამიტომ განზრახვა მაქვს ჩემი ძალა და ღონე განსაკუთრებით იმ კორპუსს მოვანდომა, რომელიც მთავრობამ ჩამაბარაო.

**პეტერბურგის ბირჟა, 26-ს ივნისს ფასები:**

| | მყიდველისა | გამყიდველისა | გაყიდულისა |
|---|---|---|---|
| | მან. კ. | მან. კ. | მან. კ. |
| ხუთ-მანათიანი ოქრო . | — » | 9 25 | — » |
| ტამოჟნის კუპონები . . | — » | — » | 179½ |
| მანათიანი ვერცხლის ფული, . . . . . . | — » | 1 27 | — » |
| 5% პირველის შინაგანის სესხის მომგები ბილეთი . . . . . . | — » | — » | 262¼ |
| — მეორისა . . . . | — » | — » | 248 |
| გირავნობ. ფურცელნი: | | | |
| ტფილისის ბანკისა. . . | — » | 99 | — » |
| ქუთაისის ბანკისა . . . | — » | 99 | — » |
| ტფილისის ურთიერთო ნდობის საზოგადოებისა . . . . . . , . | — » | — » | — » |

**საკალენდარო ცნობანი**

ქრისტეს აქეთ ჩყპზ (1887) წელიწადია. ქვეყნის შექმნიდამ **7395**.

ძველი ინდიქტიონი მე-14, ამისი ქორონიკონი—უოთ=479 წელია. დაიწყო 1408 წ. და თავდება 1940 წ.

ახალი ინდიქტიონი მე-4, ამისი ქორონიკონი—მგ=43 წელიწადია. დაიწყო 1844 წ. და თავდება 2376 წ.

1887 წლის ზედ-ნადები—14.

მკათათვე 31 დღით არის

1 **ოთხშაბათი.** წმ. მოწ. კოსმასი და დამიანესი. კათოლ. სვიმონისა, იულიასი და ბოგუსლავისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-22 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—5. ტფილისში მზე ამოდის 4—36, ჩადის 7—35. მთვარე 23 დღისაა.

2 **დღე ხუთშაბათი.** პოვნა ყოვლად წმ. ღვთის მშობლის სამოსლისა. კათოლ. ოტტონისა და მარტიანისა. სომეხ. წმ. წინ.-მეტყ. ელისესი. მუსულ. მე-23 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—35. მთვარე 24 დღისაა.

3 **დღე პარასკევი.** მოწ. იაკინთესი. კათოლ. ანატოლისა და კამელისა. სომეხ. მარხვაა. მუსულ. მე-24 რიცხვი თთვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—37, ჩადის 7—34. მთვარე 25 დღისაა.

4 **დღე შაბათი.** წმ. ანდრია ეპისკოპოსისა. კათოლ. იოსებისა, თეოდორესი და ილიასი. სომეხ. წმ. 12 მოციქულთა და მე-13-ე პავლე მოციქულისა. სამეგრელო რუსეთის ქვეშევრდომად შეიქმნა, 1803 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—38, ჩადის 7—34. მთვარე 26 დღისაა.

5 **დღე კვირა.** ღირსისა ათანასი ათონელისა. კათოლ. ფრიმონისა. სომეხ. ალების-ლამე ფერის-ცვალების (ვარდავარის) მარხვისა. გაუქმებულ იქმნა ბათუმის პორტო-ფრანკო, 1886 წ. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—39, ჩადის 7—33. მთვარე 27 დღისაა.

6 **დღე ორშაბათი.** ღირსისა სისო დიდისა. კათოლ. დომინიკისა, ოსიასი და აგგეასი. სომეხ. 1-ლი დღე ფერის-ცვალების მარხვისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—40, ჩადის 7—32 მთვარე 28 დღისაა.

7 **დღე სამშაბათი.** ღირსისა თომასი და აკაკისა. კათოლ. აპოლონიასი, კლავდიასი და პულხერიასი. მუსულ. მე-29 რიც

---

ცა იქ ვიქმნები, განდევნილი, როცა აღარ დაეინახავ ჩემს ულრუბლო და და მოწმენდილს იტალიის ცას და ვერ გავიგონებ ტკბილსა და საამურს სამშობლო ენას, მაშინ ჩემი ერთად-ერთი მანუგეშებელი ოცნება და მხოლოდ ოცნება იქმნება... ოცნების გარდა თქვენც დამეხმარებით, საწყალო ფურცლებო, რომელთაც მე გადავუხსნი ჩემს გულს და ყოველსავე ხვაშიადს ვანდობ.

სამშაბათი, 1 ივნისი

სინიორა ჩელესტა ქვრივია, მოხელე ჰყოლია ქმარი, პატარა პენსიას იღებს და ამასთან მოწყობილ ოთახებს აქირავებს. ჩემს გარდა კიდევ ორიც სხვა მდგმური ჰყავს: პროფესორი ვერდანი და კავალერი სტრუცა. ეს პროფესორი ბოლონიელია. პროფესორს ვერას დროს ვერა ვხედავ და არც იმის ხმა მესმის,—და კავალერი სტრუცცა, სამსახურიდგან გადამდგარი პოლკოვნიკი, თუმცა-კი თვალით არ მეჩვენება, მაგრამ იმის ხმა-კი სულ ყურებში მიბჟუის.

პოლკოვნიკის ოთახი სწორედ ჩემ ოთახის პირდაპირ არის, დერეფნის იქით. გათენდება თუ არა და ჯეჯია, მოსამსახურე გოგო, გაალებს ხოლმე პოლკოვნიკის ფანჯრების დარაბებს, პოლკოვნიკი გამაბედნიერებს ხოლმე თავის ხმის ამოღებით. იმითი დაიწყობს ხოლმე, რომ ჯერ გოგოს ეძგერება, ან ადრე და ან გვიან რად მოხველიო, ზანტო, უგუნურო, ერთის სიტყვით—ვენეციელოვო, ეს სიტყვა ყველაფერსა ჰნიშნავს იმისათვის. პოლკოვნიკი თუმცა თვითონ ნამდვილი ვენეციელია, მაგრამ თავის სამშობლოს და მის მოქალაქეთა მიმართ სიძულვილს აცხადებს. შემდეგ შეიბრალებს ხოლმე ჯეჯიას, მაგრამ სხვა გვარადა სჯის: დაისვამს და ყურს აგდებინებს, თუ როგორ არის ყველაზე გამწყრალი და გაგულისებული; ჰლანძღავს ყავახანის მზარეულებს, რომელნიც თავიანთის საჭმლითა მწამლავენო; სამხედრო მინისტრს, რად გადამაყენა მარტო პენსიით სამსახურიდგან და რატომ გენერლობა არ მომცაო. და თუ-კი ერთი დაიწყო პოლკოვნიკმა, ძნელად თუ გაათავოს. ეს პოლკოვნიკი იმ სამხედრო წოდების კაცებს-კი არა ჰგავს, რომელნიც კომედიებში არიან გამოყვანილნი: მკაცრის ხასიათისანი, რომელთაც თუ-კი ერთი ბრძოლა და ომი მოაგონდათ, მაშინვე გაიღიმებენ და გამხიარულდებიან ხოლმე. არა, პირ-იქით, პოლკოვნიკს რომ ჰკითხოთ, დიდი შეცდომა და სისულელე ჩავიდინე, რომ სამხედრო სამსახურში შევედიო. პოლკოვნიკი გმირია, 1848 წ. და მას შემდეგაც მამაცად უბრძოლია თავის ქვეყნის დამოუკიდებლობისათვის, კუსტოცცის ბრძოლაში ოქროს მენდალი მიუღია სიმამაცისათვის და ეხლა-კი რომ ჰკითხოთ, ნეტავი ვაჭარი ვყოფილვიყავ, ლატარიის ბილეთები მეყიდნა მამიჩემისავით და პოლიტიკაში-კი არ გავრეულიყავ, თოფის ტყვიისათვის არ მიმეშვირა გული რაღაც სულელ თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის გულისათვისაო, მხოლოდ იმიტომ, რომ შემდეგ ხუთასამდე სულელი შეგროვილიყო საგიჟეთში, რომელსაც პარლამენტს ეძახიან, და ეღრიალნათ და ეყაყანნათო!

ასე ატარებს დროს პოლკოვნიკი: სულ ყვირის და ბუზღუნებს გაზეთების კითხვის დროს, ანჩხლდება ხოლმე და ვერც უგაზეთოდ გაუძლია.

— მასხარები არიანო!—ყვირის პოლკოვნიკი მარტოდ-მარტო თავის ოთახში:—მასხარები, ბრიყვები არიან!

საათის ოთხზე ყოველ დღე შინიდგან გამოდის ხოლმე ეს საკვირველი კაცი და მიდის ყავახანებსა და სასტუმროებში. საღამოს ათ საათზე დაბრუნდება ხოლმე. თუ კაი გუნებაზეა დაბრუნების დროს, რაც იშვიათადა ხდება, ჯეჯიას გაეხუმრება ხოლმე; და თუ მთვარე მარცხნივ დაინახა, ღამე მშვიდობის მაგივრად რამდენჯერმე შეიგინება ხოლმე, შევა ოთახში და შეირახუნებს კარებსა; შემდეგ ისევ გაალებს და პირ-და-პირ ჩემს კარებს ესვრის ხოლმე წაღებსა.

ეჭვი არ არის, პოლკოვნიკი ვერაფერი მეზობელია, მაგრამ ბოროტი კაცი არ არის და ვგრძნობ, რომ ძალიან მოვიწყენ, ერთი დღე რომ არ გავიგონო ამ მყვირალა-კაცის ხმა.

სულ სხვაა, პირ-იქით, პროფესორი ვერდანი. ახალგაზდა კაცია, ფერ-მკრთალის სახისა, ბეჯითი თავის საქმეზედ, მორიდებული და ჩუმი. ხშირად შევხვდები ხოლმე კიბეზე; დამინახავს თუ არა, თითქო შერცხვაო, კედელს გაეკვრება ხოლმე, ხელს ქუდთან მიიტანს და ნელის ხმით ამბობს.

— გამარჯვებათო...

პროფესორს კერპსავით თაყვანსა სცემს სინიორა ჩელესტა, ისე რიგიანად იხდის სახლის ქირას ყოველ თთვე, ისეთი პატივის-მცემელია და ზრდილობიანად ექცევა იმასაცა და ჯეჯიასაც. და მართლაც, რომ კაი კაცია, ჩქარა დიდს სახელს გაითქვამს კიდეც: განათლებულია, თხზულებებსა სწერს...

ჯეჯიამ მითხრა, რომ დღეს ორივე მდგმურმა გაიგეს თქვენის წასვლის ამბავი და ძალიან ეწყინათო.

— ვინ იცის, ვინ ოხერი მოეხეტოს ეხლა მაგის ოთახში,—უთქვამს პოლკოვნიკს:—ეგ-კი წყნარი და მშვიდობიანი ქალია და არავის არაფერს აწუხებდაო.

— ძალიან მწყინს და მენანება, რომ მიდის აქედგან, ძალიან პატიოსანი ქალი არისო,—უთქვამს პროფესორს.

ორ-ანი

(შემდეგი იქნება)

ხვი თვისა შევალისა, 1304 წ. ჰიჯრისა. ჭეშმარიტი შუა-დღე 12—6. ტფილისში მზე ამოდის 4—41, ჩადის 7—31. მთვარე 29 დღისაა.

## გამოსადეგი ცნობანი

### ნიხრი

1 იენისიდამ 1 იელისამდე.

| | | |
|---|---|---|
| თეთრი პური რუსული 1 გირ. | 5 | კაპ. |
| წითელი პური 1-ის ხარისხისა . | 3 | › |
| › 2 › | 2½ | › |
| თონის წითელი პური 1-ის ხარის. | 5 | › |
| › › 2— | 3½ | › |
| › › 3 › | 3 | › |
| *ჭვარის მამის პურის ლავაში* | | |
| 1-ლის ხარისხისა . . | 5 | › |
| მე-2 ხარისხისა . . | 4 | › |
| მე-3 — . . . | › | › |
| ძროხის ხორცი 1-ლის ხარისხისა. | 7 | › |
| › 2 › | 6 | › |
| სუკი. . . . | 13 | › |
| ცხვრის ხორცი . . . | 8 | › |
| ღორის ხორცი 1-ის ხარისხისა. | › | › |
| › 2 › | › | › |

## მიმოსვლა ცეცხლის გემებისა შავს ზღვაზედ.

ბათუმიდამ გადის: ხუთშაბათობით ნაშუადღევის 4 საათზედ მოკლე გზით და ნოვოროსიისკსა და კერჩ'ში შეივლის.

შაბათობით საღამოს 8 საათზე შორის გზით (ყველა ნავთ-სადგურებში შეივლის).

კვირაობით საღამოთი, სამზღვარ გარედ, სტამბოლამდე მიდის.

ბათუმში მოდის ოდესიდამ: სამშაბათობით შუა-ღამისას შორის გზით.

პარასკევობით დილით ოდესიდამ მოკლეს გზით (კერჩსა და ნოვოროსიისკში შესვლით).

შაბათობით დილით სტამბოლიდამ

ფოთიდამ ბათუმში მოდის: სამშაბათობით—იმის შემდეგ, როცა სოხუმიდამ მოდის გემი შორის გზით. ხუთშაბათობით—დილის 9 საათზე და მისწრობს მოკლეს გზით მოსიარულე კავკასიისა და ყირიმის გემს,

შაბათობით დილის 9 საათზე და მისწრობს შორის გზით მოსიარულე კავკასია-ყირიმისა და რუმელია-ანატოლიისკენ წამსვლელს გემებს.

ბათუმიდამ ფოთს მიდის პარასკევობითა და კვირაობით. რაკი გემი მოვა ფოთიდამ ბათუმის სააგენტო გადასწყვეტს ხოლმე, როდის წავა უკან.

ამას გარდა ყოველ-კვირა ფოთში მოდიან ოდესიდამ და ყირიმ-კავკასიის ნავთსადგურებიდამ გადაწყვეტილს გადაზე გემები

კვირაობით, საღამოზე და სამშაბათს ბათუმისკენ მიდიან, რაკი თავიანთ საქმეებს გაათავებენ. მერე ბათუმიდან პარასკევობით მიდიან ყირიმ-კავკასიის ნავთ-სადგურებისკენ, ხოლო თუ საჭირო ფოთშიაც შეივლიან ხოლმე.

რუსეთის სანავოსნო საზოგადოების სააგენტო იმყოფება სასახლის ქუჩაზე, არწრუნისეულს ქარვასლაში, № 101.

## მიმოსვლა რკინის გზისა

### ბათუმსა და ტფილისს შუა

| სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. | სტანციები | მოდის საათ. | მოდის წამი. | გადის საათ. | გადის წამი. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დილით | | | | | დილით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 8 | 49 | **ბათუმი** . . | — | — | 8 | 4 |
| ავჭალა. . . | 9 | 9 | 9 | 11 | ქობულეთი . | 8 | 54 | 8 | 57 |
| მცხეთა. . . | 9 | 32 | 9 | 40 | ნატანები . . | 9 | 25 | 9 | 29 |
| ქსანი . . . | 10 | 3 | 10 | 05 | სუფსა . . . | 9 | 55 | 10 | 2 |
| კასპი. . . . | 10 | 33 | 10 | 36 | ლანჩხუთი . | 10 | 35 | 10 | 39 |
| გრაკალი . . | 10 | 59 | 11 | 1 | ნიგოითი . . | 10 | 51 | 10 | 53 |
| **გორი** . . . | 11 | 25 | 11 | 40 | საჯავახო. . | 11 | 14 | 11 | 16 |
| ქარელი . . | 12 | 8 | 12 | 11 | **სამტრედია** . | 11 | 33 | 11 | 51 |
| გომი . . . | 12 | 37 | 12 | 41 | კოპიტნარი . | 12 | 13 | 12 | 16 |
| **ხაშური** . . | 1 | 2 | 1 | 17 | რიონი . . . | 12 | 47 | 1 | 2 |
| სურამი . . | 1 | 29 | 1 | 32 | აჯამეთი . . | 1 | 15 | 1 | 18 |
| ფონი . . . | 2 | — | 2 | 3 | **ყვირილა** . . | 1 | 58 | 2 | 10 |
| **ბეჟათუბანი**. | 2 | 56 | 3 | 16 | ძირულა . . | 2 | 48 | 2 | 50 |
| მარელისი . | 3 | 45 | 3 | 48 | ბელაგორი . | 3 | 17 | 3 | 20 |
| ბელაგორი . | 4 | 15 | 4 | 18 | მარელისი . | 3 | 47 | 3 | 49 |
| ძირულა . . | 4 | 45 | 4 | 48 | **ბეჟათუბანი** | 4 | 18 | 4 | 37 |
| **ყვირილა**. . | 5 | 26 | 5 | 40 | ფონი . . . | 5 | 30 | 5 | 34 |
| აჯამეთი . . | 6 | 14 | 6 | 16 | | საღამოთი | | | |
| | საღამოთი | | | | სურამი. . . | 6 | 2 | 6 | 5 |
| **რიონი**. . . | 6 | 29 | 6 | 44 | **ხაშური** . . | 6 | 17 | 6 | 32 |
| კოპიტნარი . | 7 | 08 | 7 | 10 | გომი . . . | 6 | 50 | 6 | 54 |
| **სამტრედია** . | 7 | 29 | 7 | 49 | ქარელი . . | 7 | 16 | 7 | 19 |
| საჯავახო. . | 8 | 5 | 8 | 7 | **გორი** . . . | 7 | 44 | 7 | 54 |
| ნიგოითი. . | 8 | 27 | 8 | 30 | გრაკალი . . | 8 | 15 | 8 | 17 |
| ლანჩხუთი . | 8 | 42 | 8 | 46 | კასპი. . . . | 8 | 40 | 8 | 43 |
| სუფსა . . . | 9 | 19 | 9 | 27 | ქსანი . . . | 9 | 7 | 9 | 9 |
| ნატანები . . | 9 | 52 | 9 | 55 | მცხეთა. . . | 9 | 28 | 9 | 34 |
| ქობულეთი . | 10 | 22 | 10 | 25 | ავჭალა. . . | 9 | 52 | 9 | 54 |
| ბათუმი . . | 11 | 13 | — | — | **ტფილისი** . | 10 | 15 | 10 | 46 |

**ქუთაისიდამ** გადის რიონს შუადღის 12 საათსა და 7 წამზედ და საღამოზედ 5 საათსა და 50 წამზედ.

**რიონიდამ** ქუთაისს მიდის ნაშუადღევს 1 საათსა და 12 წამზედ და საღამოს 6 საათსა და 55 წამზედ.

### ტფილისსა და სურამ შუა

| | | | | | | | | | |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | დღისით | | | | | ღამით | | | |
| **ტფილისი** . | — | — | 3 | 21 | სურამი. . . | — | — | 2 | 59 |
| ავჭალა . . | 3 | 46 | 3 | 49 | **ხაშური** . . | 3 | 11 | 3 | 27 |
| მცხეთა. . . | 4 | 19 | 4 | 25 | გომი . . . | 3 | 50 | 3 | 55 |
| ქსანი . . . | 4 | 49 | 4 | 52 | ქარელი . . | 4 | 24 | 4 | 31 |
| კასპი . . . | 5 | 24 | 5 | 29 | **გორი** . . . | 5 | 4 | 5 | 19 |
| გრაკალი . . | 6 | — | 6 | 3 | გრაკალი . . | 5 | 46 | 5 | 51 |
| | საღამოთი | | | | | დილით | | | |
| **გორი** . . . | 6 | 31 | 6 | 45 | კასპი . . . | 6 | 18 | 6 | 24 |
| ქარელი . . | 7 | 18 | 7 | 24 | ქსანი. . . . | 6 | 55 | 6 | 59 |
| გომი . . . | 7 | 53 | 8 | 1 | მცხეთა . . | 7 | 24 | 7 | 32 |
| **ხაშური** . . | 8 | 24 | 8 | 38 | ავჭალა . . | 7 | 55 | 7 | 58 |
| სურამი . . | 8 | 50 | — | — | **ტფილისი** . | 8 | 24 | — | — |


## კერძო განცხადებანი

ქართველთა-შორის წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების კანცელარიაში ისყიდება შემდეგი წიგნები:

| | მ. | კ. |
|---|---|---|
| ქილილა და დამანა. ვახტანგ მეე-ქვსისა . . . . . . . . | 3 | › |
| ვისრამიანი, სარგის თმოგველისა. | 1 | 50 |
| სიბრძნე-სიცრუვე, საბა-სულხან ორბელიანისა . . . . . | › | 50 |
| დავითიანი, დავით გურამიშვილისა . . . . . . . . | 1 | › |
| თამარ ბატონიშვილი, გრიგოლ რჩეულოვისა . . . . . | 1 | › |
| ნაწერები ალექსანდრე ორბელიანისა . . . . . . . . | › | 50 |
| ნაწერები გრიგოლ ორბელიანისა. | › | 30 |
| თხზულებანი ნ. ბარათაშვილისა. | › | 40 |
| მეჯღანუაშვილი, არდაზიანისა . | › | 30 |
| დედა და შვილი, ილია ჭავჭავაძისა . . . . . . . . | › | 20 |
| რამდენიმე სურათი ყაჩაღის ცხოვრებიდამ, მისივე. . . | › | 10 |
| სურამის ციხე, ჭონქაძისა . . | › | 20 |
| ბატონიშვილის პირველი დრო, ალ. ორბელიანისა. . . . | › | 30 |
| თხზულებანი, რაფიელ ერისთვისა. | 1 | › |
| ნაწერები, ვახტანგ ორბელიანისა. | › | 20 |
| ქართული გამოცანები, რაფიელ ერისთვისა. . . . . . . | › | 5 |
| იგავ-არაკი, რაფიელ ერისთვისა. | › | 25 |
| განკიცხული, მოწყუბარიძისა . | › | 50 |
| ციკო, მისივე. . . . . , . | › | 30 |
| პატარა ბიბლიოთეკა, იაკობ გოგებაშვილისა . . . . . | › | 10 |
| მიტრიდატ დიდი, დიმიტრი ბაქრაძისა . . . . . . . | › | 10 |
| ბაგრატ მეოთხე, მისივე. . . | › | 20 |
| მირიან მეფე და წმიდა ნინო, მისივე . . . . . . . . | › | 10 |
| ვახტანგ მეექვსე, მისივე. . . | › | 15 |
| დარიგება მასწავლებელთათვის ი. გოგებაშვილისა. . . . | › | 5 |
| არითმეტიკა, დიდებულიძისა. . | › | 50 |
| არითმეტიკული გამოცანები, ივ. როსტომაშვილისა. . . . | › | 1 |
| წითელი ფარანი, თარგმანი. . | › | 15 |
| ზაფხული. ჭუღლის რედაქციით. | › | 25 |
| ხატაური, ანასტასია თუმანიშვილისა . . . . . . . | › | 10 |
| ამბები ყრმათათვის, ან. ჭუღლისა | › | 5 |
| არსენას ლექსი . . . . . | › | 5 |
| ბანჯგვლიანი ფუტკარი, თარგმანი. . . . . . . . | › | 15 |
| ქართული ანდაზები. . . . | › | 10 |
| თვალ-საჩინო სწავლა, მ. ჭაჭიკაძისა . . . . . . . . | › | 4 |
| ირაკლი მეორის გლოვა . . | › | 5 |
| ალი, ნ. ლომოურისა. . . . | › | 30 |
| დრო არის საქმეს შეუდგეთ, ქ. მამაცაშვილისა. . . . . | › | 20 |
| ალმანახი, გ. თუმანიშვილისა. . | › | 40 |
| სტეფენსონი, ბარბარე თუმანიშვილისა . . . . . . . . | › | 5 |
| მოძღვარი, ალ. ყაზბეგისა. . | 1 | › |
| თხზულებანი, მისავე ნაწ. I. . | › | 60 |
| რობინზონ კრუზე, ან. თუმანიშვილისა . . . . , | › | 30 |

### ისყიდება ფასის დათმობით

ტფილისში ყველა წიგნების მაღაზიებში და ქუთაისში ჭილაძის მაღაზიაში, ალექსანდრე ეპისკოპოზის მიერ დაბეჭდილი წიგნები:

| | მან. | კაპ. |
|---|---|---|
| **ქართული ლექსიკონი** შედგენილი საბა-სულხან ორბელიანისაგან . . . . . | 3 | „ |
| **ქართულ-რუსულ-ლათინური ლექსიკონი** მცენარეთა, ცხოველთა დალითონთა, შედგენილი თ. რ. დ. ერისთავისაგან . . . . . . | 1 | „ |
| **ხმა ცოდვილისა**. თხზ. გიორგი ავალიშვილისა . . . . | „ | 30 |
| **დრამატიკა** ანტონ ქათალიკოსისა . . . . . . . | 1 | 50 |
| ეპისკოპოსის ამბროსის **სიტყვანი და მოძღვრებანი** . . | „ | 50 |

(3—3)

დაიბეჭდა და ისყიდება
გრიგოლ ჩარკვიანის ქართული წიგნის მაღაზიაში

**ვეფხის-ტყაოსანი**

პოემა შოთა რუსთაველისა, ავტორის სურათით. ფასი 1 მანათი

### სათეატრო განცხადება

ამ წლის ოქტომბრის თვის დამლევიდამ დაიწყობა ქართული წარმოდგენები ბ-ნ ფორკატის ანტრეპრენიორობით ახალად აშენებულს ბანკის თეატრში და ამიტომ ვსთხოვთ დასში შესვლის მსურველთ როგორც ძველთა, აგრეთვე ახალთა, რომ თავის თხოვნით მოგვმართონ ამ ადრესით: ვერა, მოსკოვის ქუჩა, პავლოვის სახლებში, მე-7 №-რი.

რწმუნებული ბ-ნ ფორკატისა
გ. აბაშიძე

(10—6)



**მეური სიტყვა**

თხზ. დ. მაჩხანელისა

დაბეჭდილია „ივერიის“ რედაქციის მიერ, ისყიდება:

ტფილისში—ჩარკვიანის, გრიქუროვის, ხიდდეკელის და ცენტრალურ წიგნის მაღაზიებში.

ქუთაისში—ძმათა ჭილაძეთა მაღაზიაში.

გორში—ს. მგალობლიშვილთან.

სიღნაღში—ძმ. შაჰვერდოვების ჩითის მაღაზიაში.

წიგნი ტფილისში ღირს 20 კაპ., ტფილისს გარეშე—25 კაპ.,

ისყიდება

წიგნის მაღაზიაში: **ტფილისში** ჩარკვიანთან, სემინარიის პირ-დაპირ, ლორის-მელიქოვის ქუჩაზე და გრიქუროვთან, ალექსანდრეს ბაღის პირ-და-პირ, კუკიის ხიდისყურთან, **ქუთაისში** ჭილაძესთან.

ამ ახლო ხანებში დაბეჭდილი წიგნი (მხოლოდ 200)

### დასტურლამალი

მეფის ვახტანგ მეექვსისა

გამოცემული პეტრე უმიკაშვილის რედაქტორობით. ტფილისს 1886 წ.

ფასი 1 მან. 25 კაპ.

ტფილისს და ქუთაისს გარეშე ადგილებიდამ მსურველთ შეუძლიანთ პირ-და-პირ თვით გამომცემელისაგან დაიბარონ მოხსენებულ ფასად გასა, გზავნის ხარჯის დაუმატებლად ამ ადრესით: Въ Тифлисъ. Петру Іосифовичу Умикову. Около Анчисхатской церкви въ д. Гвиніевой.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისის წიგნის მაღაზიებში ახალი სკოლებში ახჰარებელი სახელმძღვანელო წიგნი, მიხეილ ნასიძისა:

### ქართველი მწერლები
### II
### დავით გურამიშვილი

ფასი 20 კაპ.

ეს წიგნი შეიცავს წინასიტყვაობას, დავით გურამიშვილის ბიოგრაფიას და 14 საუკეთესო ლექსს, ამოღებულს «დავითიანიდამ». ყოველივე ძნელი სიტყვა სხოლიოში განმარტებულია და ისტორიულს ლექსებსაც აქვს საჭირო ტსორიული შენიშვნები. (10—9)

ისყიდება მოსე ჯანაშვილის-მიერ შედგენილი წიგნები:

### საქართველოს მოკლე ისტორია

ფასი 60 კაპ.

(ეს წიგნი უმაღლესის მთავრობისაგან მოწონებულია).

### საქართველოს საეკლესიო ისტორია

ფასი 45 კაპ.

### მერცხალი

ფასი 7 კაპეიკი.

შემდეგს ადგილებში: **ტფილისში**: გრიქუროვისა და ჩარკვიანის წიგნის მაღაზიებში და აგრეთვე შემადგენელისას. **ქუთაისში**: ჭილაძის მაღაზიაში. **თელავში**: ვ. როსტომაშვილთან; **სიღნაღში**: ვ. ქიტიაშვილთან; **სურამში**: ა. ქარსიძესთან; **ფოთში**: ხუმარაძესთან. **ყვირილაში** ბლად. დამბაშიძესთან.

ვინც 20 ცალს «ა» გამოცემისას დაიბარებს პირ-და-პირ გამომცემლისაგან (Тифлисъ Михайл. ул, Г. Д. Картвелишвили). იმას წიგნი დაეთმ[illegible] შაურად.

დაიბეჭდა და ისყიდება ტფილისში: გრ. ჩარკვიანისა და გრიქუროვის წიგნის მაღაზიებში, გორში—თვით ავტორთან და ქუთაისში—ჭილაძის მაღაზიაში

**ორი მოთხრობა**

ს. მგალობლიშვილისა

I მცვრევაზე

II დიდ ზალაში

ფასი ორი შაური.


Дозв. цен. Тиф. 30 іюня, 1887 г. Типографія „Кавказское Обозрѣніе“ (Н. И. Френкель) Караванъ-Сарай Земельнаго Банка. რედაქტორ-გამომცემელი ილია ჭავჭავაძე